ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი # 16
14.12. 2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია 2 საკითხი:

1. **ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიღება**
2. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცება**
3. **სხვა**

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ნანა სუმბაძე, ია კუტალაძე, ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, ეკატერინე ფირცხალავა, მედეა დესპოტაშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ირინა ჟვანია;

ასისტენტ პროფესორები:

ლია ჩხიკვიშვილი, ნინო ლაბარტყავა.

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორები :

ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ედუარდ პაირაზიანი

ანა გელაშვილი

ნათია კაპანაძე

პაატა ჯოლბორდი

მეგი თავბერიძე

ნინი გაბელაია

ელენე გავაშელი

ქეთევან ტუხაშვილი

სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 29 წევრი

განიხილეს:

1. **ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიღება.**

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 9 წარმომადგენელი: ედუარდ პაირაზიანი, ანა გელაშვილი, ნათია კაპანაძე, პაატა ჯოლბორდი, მეგი თავბერიძე, ნინი გაბელაია, ელენე გავაშელი, ქეთევან ტუხაშვილი, სალომე თოფურია.

საბჭოს 20-მა წევრმა კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურებს და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

2. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცება**

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი. მან საბჭოს მოახსენა, რომ ბიუჯეტი შარშანდელის მსგავსია და თანხების გადანაწილებაც იდენტურია. მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხება მხოლოდ 2 პუნქტს: რიდერების თარგმნისთვის გამოყოფილ თანხას, რომელიც ამ ფორმატში მნიშვნელოვნად არის შეკვეცილი და შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტის თანხას.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე და გამოთქვეს მოსაზრებები.
აზრი გამოთქვეს:
პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ რიდერების თანხის შეკვეცა ცენტრალური ბიუჯეტიდან განპირობებულია დამატებითი თანხების უქნლობით.
პროფ. ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ რიდერების მომზადება არ გულისხმობს წიგნის თარგმანს და რომ პროფესორებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ხარისხიანი სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადებისათვის ფაკულტეტის მხრიდან ფინანსური ხელშეწყობა.
ასისტენტ პროფესორმა ლ. ჩხეიკვიშვილმა აღნიშნა, რომ შეიძლება ითარგმნოს სახელმძღვანელოები, მაგრამ რადგანაც კანონი გვავალდებულებს საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტმა ცოდნა მშობლიურ ენაზე მიიღოს, აუცილებელია ქართულ ენაზე რიდერების და სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადება. ამისათვის კი პროფესორებს ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა.
სტუდენტმა ს. თოფურიამ აღნიშნა, რომ სტუდენტებს აუცილებლად სჭირდებათ ქართულ ენაზე ხარისხიანი სასწავლო რესურსები. შესაბამისად, სტუდენტები არ მიესალმებიან ბიუჯეტის ამ პუნქტის შემცირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ, კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ბიუჯეტს და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე: 29
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3.ხარისხიანი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის მომზადების საკითხი.
პროფესორმა ლ. სურმანიძემ საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, ცენტრალური ადმინისტრაციისთვის წარსადგენად შემუშავდეს ხარისხიანი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის მომზადების და ფაკულტეტის ბიუჯეტში მათი გათვალისწინების საკითხები. ამაზე უნდა იმუშაონ პროფესორებმა და სტუდენტებმა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ინიციატივას და დაამტკიცა ერთხმად:
მომხრე: 29
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. **ფაკულტეტის საბჭოში მიღებულ იქნას სტუდენტთა თვითმმართველობის 9 წარმომადგენელი: ედუარდ პაირაზიანი, ანა გელაშვილი, ნათია კაპანაძე, პაატა ჯოლბორდი, მეგი თავბერიძე, ნინი გაბელაია, ელენე გავაშელი, ქეთევან ტუხაშვილი, სალომე თოფურია.**

2. **დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.**

3. **დაევალოს დეკანატს ხარისხიანი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის მომზადების ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადება და ცენტრალური ადმინისტრაციისათვის წარდგენა.**

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე
/ /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი
/ /

14.12. 2016